

სათემო კოოპერაცია – მთიანეთის ადორძინების ეფექტიანი მექანიზმი

„საქართველოს მთაში მეცხოველეობის განვითარება - ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სასიცოცხლო არტერიის - მთიანეთის ადორძინების, მოსახლეობის შენარჩუნება -გამრავლებისა და თავდაცვის უპირველესი პირობაა“. ილია ჭავჭავაძე

პაატა კოლუაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
paata_koguashvili@hotmail.com

ნიკოლოზ ჩიხლაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
nikoloz.chikhladze@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: სათემო კოოპერატივი; აგრარული პოლიტიკა; მართვა; მთიანი რეგიონი.

J.E.L. classification: Q10, Q18

DOI:<https://doi.org/10.52244/ep.2021.22.07>

ციტირებისთვის: კოლუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ., (2021). სათემო კოოპერაცია - მთიანეთის ადორძინების ეფექტიანი მექანიზმი. ეკონომიკური პროფილი. №2(22), გვ. 72–82. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2021.22.07>

ანოტაცია. საქართველოს წინსვლა ქართული სოფლისა და სოფლის მეურნეობის გაძლიერების გარეშე შეუძლებელია. სოფლის ძლიერება დამოკიდებულია სწორი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრაზე და მის აღსრულებაზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის ოცდაათწლიან ისტორიაში იყო არაერთი მცდელობა გატარებულიყო რეგიონული პოლიტიკა სოფლად მეცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ასამაღლებლად. დრომ გვიჩვენა, რომ ამ მიზნით შემუშავებული ყველა სტრატეგია თუ პროგრამა ყოველთვის იყო არასისტემური და ფრაგმენტული. შედეგად მივიღეთ თითქმის შეუქცევადი პროცესი ქართული სოფლების დაცარიელებისა, განსაკუთრებით კი მაღალი მთის საზღვრისპირა სექტორში.

საქართველოს ეს კუთხეები საჭიროებენ უაღრესად სპეციფიკურ მიდგომებს. ქართული ცივილიზაციის სათავეებთან ყველაზე ახლოს მყოფი ადგილობრივი ქართველობა ყოველდღიურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ ინარჩუნებს იმ წეს-ჩვეულებებს, რომლებიც მრავალათასწლოვანი ისტორიის მანძილზე უწყვეტად არსებობენ (სათემო მიწათმფლობელობა და სარგებლობა, ამხანაგობა, თემობა).

მათვის განსაზღვრული სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების მიზანი არის მოსახლეობისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ადამიანს იქ მუდმივად ყოფნის სურვილს ბუნებრივად გაუჩენს.

შესავალი

საქართველოსათვის არსებულ ისტორიულ პერიოდში უაღრესად მნიშვნელოვანია პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური სისტემური ცვლილებები (რეფორმები), რაც შექმნის რეგიონებში, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის მასობრივი დასაქმების, ეროვნული პროდუქციის მოცულობის ინტენსიური ზრდის საშუალებას და უზრუნველყოფს განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფორმირებას.

ქვეყანაში გატარებული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა 2013 წლის შემდეგ, მაგრამ იგი არსებითად არ აისახება მოსახლეობის მდგომარეობაზე, რაც დაკავშირებულია ინკლუზიური განვითარების დაბალ დონესთან. ინკლუზიური განვითარების სტაგნაცია, თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილად გახდა საქართველოში სიღარიბის და მაღალი სოციალური პოლარიზაციის საფუძველი. ამიტომ აუცილებელია შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის არსებობა, რომ მოხდეს დაბალგანვითარებული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა, სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ინკლუზიური ფორმების გამოყენებით.

არაერთი წარმატებული ქვეყნის გამოცდილება მიგვითითებს, რომ მოსახლეობის სამეწარმეო გააქტიურება ყველაზე უკეთ შესაძლებელია კოოპერაციული სექტორის აქტიური მხარდაჭერით. ეს პროცესი პირდაპირ აისახება ქვეყნის რეგიონებში გასატარებელ რეფორმებზე, რაც კოოპერაციის მრავალმხრივი ფორმების გამოყენებით მოგვცემს მოსახლეობის მასიური დასაქმების და ეროვნული პროდუქციის მოცულობის ინტენსიური ზრდის საშუალებას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს შესწევთ უნარი, უზრუნველყონ ცხოვრების მაღალი სტანდარტები, მოსახლეობის ინკლუზიური ეკონომიკური განვითარება და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მოგვარებაზე. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ასევე გააჩნია კრიზისების, შიმშილის და სიღარიბის დაძლევის საუკეთესო პლატფორმა.

ეს სისტემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის მაღალმთიანი სოფლების მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის, რადგან იგი ზრდის მათ სამეწარმეო შესაძლებლობებს, აუმჯობესებს მარგინალური და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში და ქმნის საუკეთესო პლატფორმას ახალგაზრდების ჩართულობისთვის ეკონომიკურ საქმიანობაში.

მივიჩნევთ, რომ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ბევრი პრობლემის მოგვარება შეუძლია სათემო კოოპერატივების ფუნქციონირების ხელშეწყობას.

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (დუშეთი, თიანეთი, წალკა, დმანისი და თეთრიწყარო) მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, მეურნეობების სარგებლობაში

არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის თითქმის ნახევარი (47.9%) სახნავს წარმოადგენს, საიდანაც 30% დაუმუშავებელია. სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა 2002 წელთან შედარებით 34%-ით არის შემცირებული. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში კლების დონე კიდევ უფრო მაღალი იყო (დაახლოებით 60% რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში). გარდა იმისა, რომ მოსახლეობის ნაწილი საზღვარგარეთ მიგრირებს, მაღალია შიდა მიგრაციის დონეც. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი ურბანულ ცენტრებში, ძირითადად დიდ ქალაქებში მიემართება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა ძირითადად ხორციელდება მცირე ფერმერების მიერ, რომლებიც ნაკლებად არიან ჩართული დამატებითი ღირებულების შექმნის, მოსავლის შემდგომი გადამამუშავებისა და ბაზრებთან ინტეგრირების პროცესებში. ისინი ძირითადად ხასიათდებიან არაორგანიზებულიობით და თითქმის არ აქვთ პროდუქტის წარმოებისთვის საჭირო როგორც აგრონომიული, ასევე ტექნიკური რეგლამენტების და სტანდარტების შესახებ ცოდნა. ამავე დროს, სოფლის დონეზე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე, შემგროვებელ/შემნახველ, სამაცივრე და გადამამუშავებელ ინფრასტრუქტურაზე.

აუცილებელია განხორციელდეს მაღალმთიან რეგიონებში, კოოპერირების გზით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სამოვრების რაციონალურად გამოყენების, მესაქონლეობის განვითარების და მაღალპროდუქტიული ჯიშების შერჩევა-აპრობირების ხელშეწყობა და რძის პროდუქტების წარმოების და რეალიზაციის ერთიანი საწარმოო ციკლის შექმნის მხარდაჭერა, სადაც კოოპერატივის მეპაიეები დაინტერესებული იქნებიან არა რძის, არამედ რძის პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული მნიშვნელოვანად გაზრდილი შემოსავლებით. ასეთი ფორმით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება გამოიწვევს წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდას და მთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

განვიხილოთ საქართველოს მთაგორიან რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარების ზოგიერთი შესაძლებლობა კოოპერატივების ფორმირების კონტექსტში. ფშავ-ხევსურეთში მემროხეობა ტრადიციული დარგია და მისი განვითარება მზარდი და პერსპექტიული მიმართულებაა, რომელიც მას მნიშვნელოვან ეკონომიკურ შედეგს მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას. ქართული მთის ძროხა უძველესი ჯიშია, რომელიც კარგად ეგუება მთის მკაცრ კლიმატურ და მწირი კვების პირობებს, თავისუფლად იყენებს ციცაბო და კლდოვან ფერდობების მცირეკონტურიან სამოვრებს, რომელიც ძნელად მისადგომია სხვა ჯიშებისათვის. იგი მერმეული ტიპისაა. ქართული მთის ძროხა მოიცავს რამდენიმე პოპულაციას: ხევსურულს, რაჭულს, აჭარულს, ოსურს, ფშავურს და სხვა. ამ ჯიშის სანაშენე ფერმა არსებობდა შუაფხოს მეურნეობაში. უსისტემო მუშაობის შედეგად ეს უძველესი და უნიკალური თვისებების მატარებელი ჯიში დღეს გადაშენების ზღვარზეა.

მიწის სავარგულების პრივატიზაციის შედეგად მთაგორიან რეგიონებში დღეისათვის შექმნილია მემცენარეობის და მეცხოველეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობები, რომელთა საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთების უდიდესი ნაწილი 0,5-1,5 ჰა ფარგლებში იცვლება. ამასთან მათი დიდი ნაწილი განლაგებულია ფერდობებზე, ზღვის დონიდან დიდ

სიმაღლეებზე. ნაკვეთებს გააჩნიათ არასწორი კონფიგურაცია და რელიეფი, ასევე ერთმანეთისგან ნიადაგის შემადგენლობით და სტრუქტურით მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ნიადაგების საგრძნობი ნაწილი ამორტიზებულია და სტრუქტურა აქვს დარღვეული.

ბუნებრივი სათიბებიდან და საძოვრებიდან, გაუმჯობესებისა და სწორი გამოყენების სათანადო ღონისძიებების ფონზე, შესაძლებელია მივიღოთ, ერთი ჰექტარი ბუნებრივი სათიბიდან 3-5 ტონა თივა, ხოლო საძოვრიდან 2,5-3,5 ათასი საკვები ერთეული. უნდა გავითვალისწინოთ რომ საკვები კულტურების მოვლა-მოყვანა 2-3-ჯერ უფრო ძვირია, ვიდრე ბალახის წარმოება. განსაკუთრებით იაფია საძოვრული საკვები, ვინაიდან საძოვრის გამოვების დროს გამოთიშულია მოსავლის აღებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მცხეთა-თიანეთის რეგიონის (დუშეთი, თიანეთი) ფერმერული მეურნეობები სპეციალიზირებული არიან დამბალი ხაჭოს, კარაქის და მოხდილი ყველის წარმოებაზე. ეს პროდუქტები მაღალი საგემოვნო თვისებებით ხასიათდებიან და ბაზარზე დიდი პოპულარობით სარგებლობენ. სავარაუდოდ ისინი წამყვან ადგილს დაიკავებენ დუშეთის და თიანეთის სოფლების ეკონომიკაში, რადგან ამ პროდუქტებიდან მიღებული ეკონომიკური ეფექტი უფრო მეტია, ვიდრე ნატურალური რძის წარმოებითა და რეალიზაციით.

აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ბიოწარმოების განვითარების კარგი შესაძლებლობები არსებობს. ბიოწარმოებაზე გადასვლისას რძის სარეალიზაციო ფასი სულ მცირე 1,5-2 ჯერ გაიზრდება, ამის შედეგად რძის წარმოებით ერთ ფურზე მოგება მოიმატებს არანაკლებ 750 ლარამდე. ხოლო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე, დამბალი ხაჭოს ევროპულ ბაზარზე გასვლის შემთხვევაში, რომლის პოპულარიზაციას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, მთაში ძლიერი ეკოფერმერული მეურნეობის მოწყობის მნიშვნელოვანი რესურსი იქმნება. მეცხოველეობის წარმოშობის პროდუქტები შეიძლება ჩაითვალოს ორგანულად, თუ მათი წარმოებისას გამოყენებული იყო საძოვრები, რომლებიც 3 წლის განმავლობაში არ იყო დამუშავებული შხამქიმიკატებით. ამასთან დაუშვებელია ცხოველთა კვება გენმოდიფიცირებული საკვებით, აკრძალულია ცხოველთა რაციონში ანტიბიოტიკების, კოკციდოსტატიკების და სხვა ფარმაკოლოგიური პრეპარატების, ზრდისა და ლაქტაციის სტიმულატორების გამოყენება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოო პროცესების სათანადო ორგანიზების შემთხვევაში, დუშეთის და თიანეთის მუნიციპალიტეტში ორგანული მეცხოველეობის განვითარებას კარგი პერსპექტივა გააჩნია.

კოოპერაცია მოსახლეობას საშუალებას მისცემს:

- დაამზადონ პირუტყვის საკვები და ამით მნიშვნელოვნად შეამცირონ წარმოებული რძის თვითღირებულება. პირუტყვის ძოვების და საკვების დამზადების მიზნით, საჭიროა კოოპერატივებს მუდმივ სარგებლობაში ან გრძელვადიანი იჯარით გადაეცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრები;
- მოახდინონ მათ მიერ წარმოებული რძის გადამუშავება კოოპერაციულ საწარმოში, რომელიც მათი საკუთრება იქნება;
- მოახდინონ ტრადიციული ჯიშების შენარჩუნება და ამავე დროს აწარმოონ ჯიშთა

გაუმჯობესების სამუშაოები მაღალპროდუქტიული ფურების შემოყვანის ან ხელოვნური განაყოფიერების გზით.

მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტის (დუშეთი, თიანეთი) მაღალმთიან ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ახდენს ტყის არამერქნული პროდუქტების (ასკილი, პანტა, შინდი, მოცვი, მაცვალი, ქაცვი და სხვა) შეგროვებას და ზოგ შემთხვევაში, ეს მათთვის საარსებო საშუალების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. გარდა ამისა, ტყის კონსერვაციის თანამედროვე გამოწვევებს შორის მნიშვნელოვანია, რომ ტყის არამერქნული პროდუქტების ტრადიციული მეთოდებით შეგროვება უშუალო კავშირშია ტყეებში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასთან და ნახშირბადის დონის შემცირებასთან. აღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ტყის არამერქნული პროდუქტების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის შეგროვება და რეალიზაცია ხდება.

ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვების, შრობისა და დამზადების მიზნით, დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღაროსკარის ადმინისტრაციულ ერთეულში დაარსდა კოოპერატივი „მარახევი“, რომელიც აღჭურვილია უმარტივესი, დაბალი წარმადობის საწარმო-ტექნოლოგიური დანადგარებით. აღნიშნული კოოპერატივის თანამედროვე, შესაბამისი სიმძლავრის შრობისა და დაფასოების დანადგარებით აღჭურვის მხარდაჭერის შემთხვევაში, არამარტო მაღაროსკარის, არამედ უკანაფშავის და ბარისახოს ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების მოსახლეობას მიეცემა ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვების, გაშრობის, დაფასოების და შენახვის კარგი შესაძლებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ შემოსავლებს.

ქვემო ქართლის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და რეგიონში წარმოებულ დამატებულ ღირებულებაში მისი წილი 19%-ია, სადაც დასაქმებულია მოსახლეობის 48%. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მოსახლეობა ძირითადად თვითდასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნება და თავიანთ ოჯახურ მეურნეობებში საქმიანობენ, დედაქალაქთან და მეზობელ სახელმწიფოებთან სიახლოვის გამო, საკმაოდ წარმატებით ახერხებენ საადრეო კარტოფილით, ბოსტნეულითა და მეცხოველეობის სხვადასხვა პროდუქტით ბაზრებზე ოპერირებას. რეგიონში გაძლიერდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების და ფერმერული ასოციაციების ჩამოყალიბების ტენდენცია.

მეცხოველეობა წამყვანი დარგია დმანისის თეთრიწყაროს და წალკის მუნიციპალიტეტებში. მემცენარეობის კუთხით კი შედარებით კარგად არის განვითარებული კარტოფილის წარმოება. კარტოფილის მწარმოებელი ფერმერებისა და კოოპერატივებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის კარტოფილის მოსავლის აღების შემდგომ შენახვასთან დაკავშირებული მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა. მოსავლის უმეტესი ნაწილი ინახება საოჯახო პირობებში, სადაც ვერ ხერხდება შენახვის მინიმალური ნორმების დაცვა. პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა შეიქმნას მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კოოპერაციული სასაწყობო მეურნეობა, სადაც მათ შეეძლებათ შეინახონ მიღებული მოსავალი და გაყიდონ მაშინ, როცა ფასი მაღალია.

დმანისის, თეთრიწყაროს და წალკის მუნიციპალიტეტში აღნიშნული დარგების განვითარების მიზნით, საჭიროა:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფორმის გამოყენებით მოხდეს პირველადი წარმოების, გადამუშავების და რეალიზაციის ერთიანი ციკლის მხარდაჭერა;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სამოვრები უვადო სარგებლობით/მფლობელობით ან გრძელვადიანი იჯარით გადაეცეს რძის მწარმოებელ კოოპერატივებს;
- სახელმწიფოს და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, რძის მწარმოებელი კოოპერატივების ფარგლებში შეიქმნას რძის გადამამუშავებელი საწარმოები, რომელთა მიერ წარმოებული რძის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება დივიდენდების სახით განაწილდება კოოპერატივების მეპაიეებზე. აღნიშნული საწარმოები გადაეცემა კოოპერატივებს გრძელვადიანი გამოსყიდვის ვალდებულებით;
- სახელმწიფოს და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, დმანისის, თეთრიწყაროს და წალკის მუნიციპალიტეტებში მიზანშეწონილია შეიქმნას 1000 – 1300, ხოლო დუშეთის და თიანეთის მუნიციპალიტეტებში 500-700 ტონა კარტოფილის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კოოპერაციული სასაწყობო მეურნეობები, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს დამის მეპაიეებს მისცემს შესაძლებლობას, მოსავლის აღების შემდგომ მოახდინონ კარტოფილის დასაწყობება, შენახვა, დაფასოება და რეალიზაცია წლის ნებისმიერ პერიოდში და დააკმაყოფილონ ბაზრის მოთხოვნები მაღალი ხარისხის ერთგვაროვან პროდუქციაზე.

სათემო კოოპერატივები მაღალმთიან რეგიონებში

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ქვეყნის მთიანეთში ტერიტორიების მიხედვით შეიქმნას სპეციალური სამეურნეო-ეკონომიკური ერთეულები, რომელთა განკარგვაში (მუდმივ ფლობელობასა და სარგებლობაში) გადავა სამოვრებიდან და ტყის ფონდებიდან გენერირებული შემოსავლები. აღნიშნული სამეურნეო ერთეულების ფარგლებში კოოპერაციულ საწყისებზე უნდა განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოება, კოოპერატივების ფარგლებში ერთიანი საწარმოო ციკლის (პირველადი პროდუქციის წარმოება, გადამამუშავება, რეალიზაცია) ორგანიზებით.

ამ ტიპის ეკონომიკური ერთეულების მფლობელები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ განსაზღვრულ არეალში. იჯარიდან ან სხვა სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები დემოკრატიული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ საერთო მიზნებისათვის უკეთესი საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. ასეთი მიზნები შეიძლება იყოს განათლება, ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი და სხვ., რაც წინასწარ იქნება განსაზღვრული საქართველოს მთავრობის მიერ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ლოკალური ტერიტორიული გავრცელების ოპტიმალური ფორმის განსაზღვრაში, პრიორიტეტული მნიშვნელობა სათემო კოოპერატივებს ენიჭება. მათი ჩამოყალიბება მოხდება ადმინისტრაციული ერთეულების ფარგლებში, წარმოების სპეციალიზაციისა და საწარმოო ძალთა კონცენტრაციის ფაქტორების გათვალისწინებით. სათემო კოოპერატივები უზრუნველყოფენ კოოპერაციის პროცესში მოსახლეობის მასობრივი ჩართულობის პირობებს, სადაც შესაძლებელი გახდება მასშტაბის ეფექტის გამოყენება და ადგილებზე მოსახლეობის შესაძლებლობების და მატერიალური რესურსების კაპიტალიზაცია,

რასაც მთის მოსახლეობის ინკლუზიურ (ყოვლისმომცველ) სამეწარმეო განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს მთიანეთში არსებობს ბიოწარმოების უნიკალური შესაძლებლობები. ბუნებრივი საძოვრების რაციონალური გამოყენების საფუძველს ყველა ვერტიკალურ ზონაში წარმოადგენს პირუტყვის ნაკვეთმორიგეობითი ან მასთან მიახლოებული ძოვების სისტემის დანერგვა. ბუნებრივ საძოვრებზე ყველა სახის საკვების (მწვანე, წვნიანი, უხეში) წარმოების გადიდება, მათი ხარისხის ამაღლება და თვითღირებულების შემცირება მეცხოველეობის განვითარების ძირითადი საფუძველია, რადგან მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულების 65-75% სწორედ საკვების ხარჯებთანაა დაკავშირებული.

კოოპერატივის ფარგლებში ერთიანი საწარმოო ციკლის ორგანიზება (პირუტყვის საკვების, რძის და რძის პროდუქტების (მათ შორის ადგილწარმოშობის მიხედვით წარმოებული პროდუქციის: დამბალხაჭო, ტენინი ყველი, გუდის ყველი), ხორცის და ხორცის პროდუქტების, მატყლის და ტყავის წარმოება) უზრუნველყოფს სათიბ-საძოვრების რაციონალურ გამოყენებას, შეამცირებს პირუტყვის საკვების ხარჯებს და მნიშვნელოვნად გაზრდის მეპაიეთა შემოსავლებს.

საქართველოს მთიანეთში ტყის არამერქნული პროდუქტების მრავალფეროვნებისა და სწრაფად მზარდი საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სათემო კოოპერატივების ფარგლებში ველური ხილის (ასკილი, პანტა, შინდი, ქაცვი და სხვა) შეგროვებას და მათი შრომის, შენახვის ბიოწარმოების განვითარებას და მაღალ ფასებში რეალიზაციას დიდი პოტენციალი გააჩნია. საქართველოში ტყის არამერქნული პროდუქტების წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის შექმნა ყველაზე უკეთ სათემო კოოპერატივების ორგანიზაციული და ტექნიკურ-ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერით არის შესაძლებელი.

ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური პრობლემების მოგვარება (რაც პიდაპირ კავშირშია გამძაფრებული სოციალური და დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებასთან), ვერ შეძლო ვერც ერთმა მთავრობამ, რაც მნიშვნელოვანწილად გახდა მათი ეკონომიკური პოლიტიკის და ზოგადად მათი წარუმატებლობის მიზეზი. ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კატეგორიულად განისაზღვროს: არსებულ ეტაპზე სოფლის მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს განსაკუთრებული აქტუალობის პრობლემას, მთავარ გამოწვევას და სახელმწიფო პოლიტიკა უპირატესად უნდა ეყრდნობოდეს სწორედ ამ მოცემულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო აქტივობების ქმედითუნარიანობა ყოველთვის საფრთხის წინაშე იქნება დაყენებული, რაც არაერთხელ დაადასტურა პრაქტიკამ. ამიტომ, სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მოფრთხილება, მხარდაჭერა და მათი შრომის სტიმულირება (აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება) საზოგადოების გამოსაკვებად.

დასკვნა

მაღალმთიანი კავკასიონის ზემოაღნიშნული მოდელი შეიძლება გავრცელდეს ყველა თემსა და სოფელზე სოფლისა და სოფლის მეწარმის სტატუსის (სოფელი როგორც ტერიტორიული ერთეული/სასიცოცხლო არეალი) განსაზღვრის შემდეგ, რაც გულისხმობს სოფლის ტერიტორიულ ფარგლებში არსებული სახელმწიფო საკუთრების მიწის, ტყის, საძოვრის, წყლის, მინერალური რესურსების მუდმივ მფლობელობასა და სარგებლობაში თემებისათვის გადაცემას.

აღნიშნული მოდელის სწორად ორგანიზების შემთხვევაში მიღებული შემოსავლები შეიძლება იმდენად დიდი აღმოჩნდეს, რომ დედაქალაქიდან, საქართველოს სხვა ადგილებიდან და უცხოეთიდანაც კი ბევრი ადამიანი დაუბრუნდება მშობლიურ კუთხეს. სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი ფინანსური დანახარჯებისა და ქვეყნის შიდა ტერიტორიული მოწყობის ცვლილებების გარეშე გადაიჭრება მაღალი მთის საზღვრისპირა სექტორებთან დაკავშირებული ურთულესი სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული საკითხები. აქ მაცხოვრებელი ადამიანები ერთდროულად შეასრულებენ ქვეყნის დარაჯის, მესაზღვრისა და მეურნის ფუნქციებს.

ლიტერატურა:

1. კოლუაშვილი პ., მამუკელაშვილი დ., (2021) კოოპერაცია - სოფლად კრიზისების დაძლევის ეფექტიანი მექანიზმი. ახალი აგრარული საქართველო. N1(104). გვ.6 URL: https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/332051/5/Axali_Agraruli_Saqartvelo_2021_N1.pdf (ხელმისაწვდომია: 21.11.2021)
2. კოლუაშვილი პ., ზარდიაშვილი დ., (2021) მიწის სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლებისათვის. ახალი აგრარული საქართველო. N2(105). გვ.4 URL: https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/336819/1/Axali_Agraruli_Saqartvelo_2021_N2.pdf (ხელმისაწვდომია: 21.11.2021)
3. კოლუაშვილი პ., გალგაშვილი დ., (2021) ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს. URL: <https://for.ge/view/213866/davubrunoT-mTas-misi-bunibrivi-funqcia.html> (ხელმისაწვდომია: 21.11.2021)
4. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. URL: https://www.geostat.ge/media/38833/soflis_meurneoba_2020.pdf (ხელმისაწვდომია: 21.11.2021)
5. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2020. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. URL: <https://www.geostat.ge/media/41097/დემოგრაფიული-ვითარება-საქართველოში-2020.pdf> (ხელმისაწვდომია: 21.11.2021)
6. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის 2015-2021 წლების განვითარების სტრატეგია. URL: https://droa.ge/wp-content/uploads/2017/09/mcxeta-mtianetis_regionis_ganvitarebis_strategia_2014-2021_clebisatvis_0.pdf (ხელმისაწვდომია: 21.11.2021)